განმარტებითი ბარათი

შენობის სტრუქტურული ელემენტების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი შეიცავს შპს. „თიმთუ" -ის კუთვნილ, კონფიდენციალურ ინფორმაციას და შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ პროექტის დამკვეთის მიერ. თუ აღნიშნული ინფორმაცია თქვენთვის არ არის განკუთვნილი, გთხოვთ დაუყოვნებლივ აცნობოთ დოკუმენტის ავტორს, ამასთან, გთხოვთ, ნუ მოახდენთ აღნიშნული დოკუმენტის შინაარსის და დანართების გამჟღავნებას, კოპირებას, გავრცელებას და მათზე დაყრდნობით სხვადასხვა ქმედებების განხორციელებას.

პროექტის დასახელება		სავაჭრო ობიექტი	
დაკვეთის #		005 - 2101	
შემსრულებელი		teamtwo	
თარიღი		17 დეკემბერი, 2021	
დირექტორი		ნ. ნადარეიშვილი	
პრ. მთავარი სტრ. ინჟინერი		გ. ცინცაბაძე	ტელ: 555 577 499
ანალიტიკური მოდელირება			info@teamtwo.ge
შეასრულა		ლ. მალანია	მის.: ზ. ფალიაშვილის #37

ანოტაცია

ნაგებობის სტრუქტურული ელემენტების პროექტი წარმოდგენილია გრაფიკულ (ნახაზები) და ტექსტურ (განმარტებითი ბარათი) ნაწილებად. ტექსტური ნაწილი დაყოფილია 9 თემატურ პუნქტად და ქვე პუნქტებად, ჯამში მოიცავს 30 გვერდს. ყოველ პუნქტში ტექსტურად, გრაფიკულად და მათემატიკური ფორმულებით აღწერილია პუნქტის ან ქვეპუნქტის შესაბამისი საკითხი.

ტექსტური ნაწილი, ანუ განმარტებითი ბარათი მოიცავს შენობის განთავსების ადგილის მოკლე დახასიათებას, სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას, შენობის სტრუქტურული ელემენტების გაანგარიშების მეთოდების და შედეგების აღწერას. პროექტში ასევე ასახულია სამშენებლო პროცესში სტრუქტურული ელემენტების მოწყობის ტექნოლოგია.

შენობის მზიდი სტრუქტურული ელემენტების გაანგარიშება წარმოდგენილია, როგორც ქართული, ასევე უცხოური სამშენებლო ნორმების და ლიტერატურის მოთხოვნების და მითითებების შესაბამისად. პროექტის ორგანზმონილებიანი და სივრცითი, სამგანზომილებიანი, საანგარიშო მოდელის აგების და ანალიზისთვის გამოყენებულია კომპიუტერული პროგრამები **Autodesk AutoCAD** და **Lira SAPR 2017**.

პროექტი შესრულებულია შპს. “თიმთუ” -ს საპროექტო ჯგუფის მიერ.

შენობის სტრუქტურული ელემენტების პროექტზე მუშაობდნენ

პოზიცია	ხელმოწერა	სახელი
პროექტის მთავარი სტრუქტურული ინჟინერი		
ანალიტიკური მოდელირება		გ. ცინცაბაძე
სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება		გ. მალანია

შეასრულა	ლ. მალანია	ლ. მალანია	დოკუმენტის დასახელება	განმარტებითი ბარათი	
შეამოწმა		გ. ცინცაბაძე	ვერსია	1	
გვერდი		2	თარიღი	17 დეკემბერი, 2021	

შესავალი

კომერციული ფართი - მაღაზიის დანიშნულებით მდებარეობს ქ. თბილისში, დაბაწყნეთი, ცოტნე დადიანის N21-ში (საკადასტრო კოდი: 01.20.01.022.017). დაგეგმილი შენობა წარმოადგენს ერთ სართულიან კომერციულ ფართს რომელიც გამიზნულია საუბნო მაღაზიისთვის. შენობის მაქსიმალური სიმაღლეა 4.3 მეტრი, საძირკვლის ქვედა ნიშნული -1 მეტრი.

წინამდებარე დოკუმენტი ითვალისწინებს, ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით შესრულებული, საანგარიშო, სივრცითი მოდელის განმარტებას და ანგარიშის შედეგების ანალიზს.

სარჩევი

ანოტაცია 2
შესავალი 3
1. სამშენებლო ტერიტორიის აღწერა 6
1.1 რელიეფის და ტერიტორიის სამშენებლო კლიმატოლოგიის ზოგადი აღწერა 6
1.2 საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები 7
2. საპროექტო შენობის არქიტექტურული გადაწყვეტა 9
2.1 ზოგადი აღწერა 9
2.2 გეგმები, ფასადები, ჭრილები და ვიზუალიზაციები 9
3. შენობის სტრუქტურულ ელემენტებზე მოსული დატვირთვების განსაზღვრა 14
3.1 მუდმივი დატვირთვები 14
3.1.1 რკინაბეტონის სტრუქტურული ელემენტების საკუთარი წონა 14
3.2 დროებითი ხანმოკლე დატვირთვები 14
3.2.1 თოვლისგან მოსული დატვირთვა 14
3.4 სეისმური დატვირთვა 15
3.4.1 ქვეყანაში მოქმედი სეისმური კოეფიციენტების განსაზღვრა 15
4. შენობის ანალიტიკური მოდელის აღწერა 17
4.1 სასრულ ელემენტთა ანალიზის მეთოდის მოკლე აღწერა 17
4.1.1 უნივერსალური, ოთხკვანძიანი, ოთხკუთხა ელემენტი #44 17
4.1.2 უნივერსალური, სამკვანძიანი, სამკუთხა ელემენტი #42 17
4.2 დინამიკური მასების განსაზღვრა სტატიკური დატვირთვებიდან 18
4.3 ანგარიში სეისმურ ზემოქმედებაზე 19
4.4 3D ანალიტიკური მოდელი 20
4.5 რკინაბეტონის სტრუქტურული ელემენტების მოდელირება 21
5. ანალიტიკური მოდელირების შედეგები 22
5.1 ფილის ჩაღუნვები 22
5.2 შენობის მოდალური ანალიზი 23
5.3 შენობის რხევის პერიოდები 24
6. შენობის მზიდი სტრუქტურული ელემენტების კონსტრუირება 25
7. შენობის მზიდი სტრუქტურული ელემენტების აღწერა 25
7.1 საძირკვლის მონოლითური ფილა 25
7.2 შენობის მზიდი კარკასი 25
7.3 რკინა-ბეტონის მახასიათებლები 25

7.4 განსაკუთრებული შენიშვნები 26
7.5 უსაფრთხოება 26
8. სამშენებლო პროცესში კონსტრუქციების მოწყობის ტექნოლოგია 27
8.1 არმატურის დამცავი შრე 27
8.1.1 გადახურვის ფილის ქვედა ბადის დამცავი შრის ფიქსატორები 27
8.1.2 გადახურვის ფილის ქვედა ბადის დამცავი შრის ფიქსატორები 28
8.1.3 სვეტის დამცავი შრის ფიქსატორები 28
8.2 მზიდი სტრუქტურული ელემენტების ბეტონირება 29
8.3 ცალუღა არმატურების მოწყობა 30
9. გამოყენებული ლიტერატურა 30

1. სამშენებლო ტერიტორიის აღწერა

1.1 რელიეფის და ტერიტორიის სამშენებლო კლიმატოლოგიის ზოგადი აღწერა

საკვლევი უბანი მდებარეობს დაბა წყნეთში, ჭავჭავაძის ქ. #10ა-ში. ნაკვეთის ს/კ. 01.20.01.022.017. ნაკვეთის ტერიტორია დახრილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. ნაკვეთს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრება ქუჩები, ხოლო დანარჩენი მხრიდან – მომიჯნავე მობინადრეთა ეზოები. გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი წარმოადგენს თრიალეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთური ექსპოზიციის დახრილი ფერდის შუა ნაწილს. მიწის ზედაპირის ნიშნულები, დასაპროექტებელი შენობის კონტურის ფარგლებში, მერყეობენ 949.14 მ -დან 950.98 მ -მდე.

“პნ. 01.05-08 სამშენებლო კლიმატოლოგია” -ს მიხედვით თოვლის საფარის წონა 50 კგ/მ^2 -ზე (0.5 კპა.), ხოლო დღეთა რიცხვი 14 დღე. ქარის წნევი ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ 48 კგ/ მ^2 -ზე (0.48 კპა.)

სეისმური თვალსაზრისით “პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა” ნორმის მიხედვით, ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას, რომლის მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარებაა A=0.17g.



სურ. 1 - საქართველოს სეისმური საშიშროების რუკა

შეასრულა	ლ. მალანია		დოკუმენტის დასახელება	განმარტებითი ბარათი	
შეამოწმა	გ. ცინცაბაძე		ვერსია	1	
გვერდი		6	თარიღი	17 დეკემბერი, 2021	

1.2 საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის გრაფიკული მასალიდან ჩანს, უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ ზედა ეოცენის ძირითადი ქანები (ρ_2^3) – არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, რომელიც ეროზიული ზედაპირიდან (0.7 - 1.0 მ) ძლიერ გამოფიტულია (ფენა 3).

სიღრმეში ქანის სიმტკიცე იზრდება და ნაკლებად გამოფიტულია (ფენა 4). ძირითადი ქანი დაფარულია დელუვიური თიხოვანი გრუნტით, ძნელპლასტიკური კონსისტენციის ყავისფერი თიხნარებით (ფენა 2), რომელიც თავის მხრივ დაფარულია ნიადაგის 0,20 მ ფენით (ფენა 1).

უბნის ამგებ გრუნებში გამოიყოფა ერთი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი:

სგე-1 (ფენა 4) - ძირითადი ქანი, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, ნაკლებად გამოფიტული

№	გრუნტის მახასიათებლები		განზ-ბა	I სგე (ფენა 2)
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ³	2,30
2	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში	Rc	კპა (კგძ/სმ²)	7000 (70)
3	საგების კოეფიციენტი	k	კგძ/სმ³	100,0
4	პუასონის კოეფიციენტი	μ	–	0,21
5	ბეტონის გრუნტთან ხახუნის კოეფიციენტი	*f*	–	0,70

ცხრილი 1 - გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები

ფუძე-საძირკვლების გაანგარიშებისთვის ორივე სგე. -ს გრუნტის აუცილებელი საანგარიშო-ნორმატიული მახასიათებლების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში #1. მახასიათებლები აღებულია ლაბორატორიული კვლევის, საარქივო მასალების და სავნობარო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე.



სურ. 2 – საინჟინრო გეოლოგიური ჭრილი



სურ. 3 – შურფი #1



სურ. 4 – პირობითი აღნიშვნები

შეასრულა	ლ. მალანია		დოკუმენტის დასახელება	განმარტებითი ბარათი	
შეამოწმა	გ. ცინცაბაძე		ვერსია	1	
გვერდი		8	თარიღი	17 დეკემბერი, 2021	

2. საპროექტო შენობის არქიტექტურული გადაწყვეტა

2.1 ზოგადი აღწერა

კომერციული ფართი - მაღაზიის დანიშნულებით მდებარეობს ქ. თბილისში, დაბაწყნეთი, ცოტნე დადიანის N21-ში (საკადასტრო კოდი: 01.20.01.022.017)

ნაკვეთი არის ძირითადად ბრტყელი რელიეფის მქონე, მასზე არსებული ხეების აღრიცხვა და ექსპერტული შეფასება, გამწვანების პროექტთან ერთად იხილეთ ატვირთული შესაბამის ველში.

დაგეგმილი შენობა წარმოადგენს ერთ სართულიან კომერციულ ფართს რომელიც გამიზნულია საუბნო მაღაზიისთვის. ექსტერიერი წარმოადგენს მინიმალისტურ სტილში გადაწყვეტილ სკულპტურულ ფორმას, სადაც ძირითად მასალებად გამოყენებულია: ბეტონი, ლესვა/ღებვა მუქი მწვანე საღებავით და შავი ალუმინის პროფილი ვიტრაჟებისათვის.

დიზაინის მთავარ აქცენტს წარმოადგენს შენობის ერთიანი, სკულპტურული ფორმა, რომელიც დატეხილი სახურავით არის გამოხატული. შენობის მაქსიმალური სიმაღლეა 4.3 მეტრი, მაქსიმალური გაბარიტული ზომები 29 x 25 მეტრი.

2.2 გეგმები, ფასადები, ჭრილები და ვიზუალიზაციები



სურ. 5 – გენ-გეგმა ტოპოზე დასმით

შეასრულა	ლ. მალანია		დოკუმენტის დასახელება	განმარტებითი ბარათი	
შეამოწმა	გ. ცინცაბაძე		ვერსია	1	
გვერდი		9	თარიღი	17 დეკემბერი, 2021	



სურ. 6 - 0 სართულის გეგმა



სურ. 7 - სახურავის გეგმა

შეასრულა	ლ. მალანია	ლ. მალანია	დოკუმენტის დასახელება	განმარტებითი ბარათი	
შეამოწმა	გ. ცინცაბაძე	გ. ცინცაბაძე	ვერსია	1	
გვერდი		10	თარიღი	17 დეკემბერი, 2021	



სურ. 8 - შენობების ჭრილი 1



სურ. 9 - შენობების ჭრილი 2

შეასრულა	ლ. მალანია	ლ. მალანია	დოკუმენტის დასახელება	განმარტებითი ბარათი	
შეამოწმა	გ. ცინცაბაძე	გ. ცინცაბაძე	ვერსია	1	
გვერდი		11	თარიღი	17 დეკემბერი, 2021	



სურ. 10 - შენობების აღმოსავლეთი ფასადი



სურ. 11 - შენობების მთავარი ფასადი



სურ. 12 - შენობების 3D ხედი

შეასრულა	ლ. მალანია	ლ. მალანია	დოკუმენტის დასახელება	განმარტებითი ბარათი	
შეამოწმა	გ. ცინცაბაძე	გ. ცინცაბაძე	ვერსია	1	
გვერდი		12	თარიღი	17 დეკემბერი, 2021	



სურ. 13 - შენობის ვიზუალიზაცია #1



სურ. 14 - შენობის ვიზუალიზაცია #2

3. შენობის სტრუქტურულ ელემენტებზე მოსული დატვირთვების განსაზღვრა

3.1 მუდმივი დატვირთვები

3.1.1 რკინაბეტონის სტრუქტურული ელემენტების საკუთარი წონა

რკინაბეტონის ნორმატიული და საანგარიშო მოცულობითი წონები გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

$$\rho_ნ = 2.5 \text{ ტ/მ}^3$$

$$\rho_ს = \rho_ნ * \gamma_f = 2.5 * 1.1 = 2.75 \text{ ტ/მ}^3$$

სადაც: $\rho_ნ$ - ნორმატიული მოცულობითი წონა; $\rho_ს$ - საანგარიშო მოცულობითი წონა; γ_f =1.1 - გადატვირთვის კოეფიციენტი.

3.2 დროებითი ხანმოკლე დატვირთვები

3.2.1 თოვლისგან მოსული დატვირთვა

კლიმატური დარაიონების მიხედვით თოვლის დატვირთვის მნიშვნელობად მიღებულ იქნა 50 კგ/მ^2 (სამშენებლო კლიმატოლოგია პ.ნ. 01.05.-08) “СНиП 2.01.07-85* - Нагрузки и воздействия, პ. 5.1”-ის მიხედვით თოვლის დატვირთვის ინტენსიურობის ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

$$P_თ^ნ = P_0 * C = 0.05 * 1 = 0.05 \text{ ტ/მ}^2 \ / P_თ^ს = P_თ^ნ * \gamma_f = 0.05 * 1.4 = 0.07 \text{ ტ/მ}^2$$

სადაც: P_0 - თოვლის დატვირთვის მნიშვნელობა “სამშენებლო კლიმატოლოგია პ.ნ. 01.05.-08” -ის მიხედვით; C =1.0 - თოვლის დატვირთვის მიწის ზედაპირიდან სახურავზე გადაყვანის კოეფიციენტი (СНиП 2.01.07-85* - Нагрузки и воздействия, პ. 5.1); γ_f =1.4 - გადატვირთვის კოეფიციენტი თოვლისთვის

3.4 სეისმური დატვირთვა

3.4.1 ქვეყანაში მოქმედი სეისმური კოეფიციენტების განსაზღვრა

წინამდებარე პროექტში სეისმური დატვირთვები დაფუძნებულია ქართულ ნორმატიულ დოკუმენტზე “სეისმომედეგი მშენებლობა” (01.01-09), რომლის მიხედვითაც ანგარიშის დროს სეისმური ძალები გამოითვლება შემდეგი ფორმულით (თავი 2, მუხლი 4, პუნქტი 6):

$$S_{ik} = k_1 * k_2 * k_3 * S_{oik}$$

სადაც: k_1 - არის კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს შენობის არაწრფივ მუშაობას. რკინა-ბეტონის ჩარჩოსთან (პნ 01.01-09, ცხრილი 3) k_1 =0.35

k_2 - არის კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ გადაწყვეტას (პნ 01.01-09, ცხრ. 4), k_2**=1.0**

k_3 - არის შენობა ნაგებობის საიმედოობის (ნაგებობის პასუხისმგებლობის) კოეფიციენტი და აიღება მისი დანიშნულების მიხედვით. შენობა არის საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობა, შესაბამისად პნ 01.01-09, ცხრ. 5 -ის მიხედვით k_3**=1.0**

S_{oik} - არის შენობა-ნაგებობის, როგორც დრეკად-დეფორმირებადი სისტემის საკუთარი რხევის i -ური ტონის შესაბამისი სეისმური დატვირთვა. იგი განისაზღვრება ფორმულით:

$$S_{oik} = Q_k * A * \beta_i * K_\psi * K_0 * n_{ik}$$

სადაც: Q_k- არის შენობა-ნაგებობის k -ურ წერტილზე მოსული წონა (სურ. 22); A - არის სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს მოცემული დასახლებული პუნქტისთვის გრუნტის საანგარიშო აჩქარების შეფარდებას თავისუფალი ვარდნის აჩქარება g -თან (g =9.80665 მ/წმ²)

სეისმური თვალსაზრისით “პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა” ნორმის მიხედვით, ქ. ბათუმი მიეკუთვნება 7 ბალიან სეისმურ ზონას, რომლის აჩქარებაა 0.09გ (სურ. 1.9)

β_i- არის შენობა-ნაგებობის საკუთარი რხევის i -ური ტონის შესაბამისი დინამიკურობის კოეფიციენტი (ბეტა მრუდი) (სურ. 36)





სურ. 15 - ბეტა მრუდი

K_ψ - არის შენობა ნაგებობის გადაწყვეტის კოეფიციენტი. პნ 01.01-09, ცხრ. 6 -ის მიხედვით, კარკასული შენობები, რომელთა საკედლე შევსება გავლენას არ ახდენს მის დეფორმაციულობაზე და დგარების სიმაღლის ფარდობა განივკვეთის ზომასთან (სეისმური ძალის მოქმედების მიმართულებით) არ აღემატება ჰ/ბ=25 -ს $\boldsymbol{K_\psi = 1}$

K_0 - არის კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გრუნტის არა წრფივ დეფორმირებას. პნ 01.01-09, ცხრ. 4.1 გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა გრუნტის კატეგორიის კოეფიციენტი განისაზღვრება ცხრილი 1 -ის საფუძველზე, სეისმური მიკრო დარაიონების შესრულების გარეშე, ამ შემთხვევაში $\boldsymbol{K_0 = 1}$

n_{ik} - არის კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია შენობა-ნაგებობის საკუთარი რხევის ი -ური ტონის შესაბამისი დეფორმაციის სახეზე და მე- 4 -ე მუხლის მე- 8 -ე პუნქტში განსაზღვრული დატვირთვის ადგილმდებარეობაზე.

სეისმური დატვირთვის დროს გვაქვს სეისმური ტალღების სხვადასხვა მიმართულება, რომლებიც მოქმედებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად:

- სეისმური ტალღები განივი (+X) მიმართულებით;
- სეისმური ტალღები გრძივი (+Y) მიმართულებით;
- სეისმური ტალღები გრძივი (+Z) მიმართულებით;
- სეისმური ტალღები გრძივი (+XY 45˚) მიმართულებით;
- სეისმური ტალღები გრძივი (+XY 135˚) მიმართულებით;

4. შენობის ანალიტიკური მოდელის აღწერა

4.1 სასრულ ელემენტთა ანალიზის მეთოდის მოკლე აღწერა

კომპიუტერული ანგარიში ეფუძნება სასრული ელემენტების ანალიზის მეთოდს. მასში ასახულია ბერნულეს ჰიპოთეზის ღეროვანი და ბრტყელი ელემენტები. ანგარიში გამოყენებულია შემდეგი სასრული ელემენტები:

1. ოთხკვანძიანი ოთხკუთხა გარსის ელემენტი #44
2. სამკვანძიანი სამკუთხა გარსის ელემენტი #42
3. უნივერსალური ორკვანძიანი ღეროვანი ელემენტი #10

სასრული ელემენტების თითოეული ტიპის აღწერა მოყვანილია ქვევით:

4.1.1 უნივერსალური, ოთხკვანძიანი, ოთხკუთხა ელემენტი #44



ელემენტი განკუთვნილია თხელი გარსების ანგარიშისთვის, როგორიცაა ფილა, კედელი. ელემენტის ოთხივე კვანძს, ადგილობრივი ღერძების მიმართ, გააჩნია 6 თავისუფლების ხარისხი. გადაადგილებები U,V,W შესაბამისად X,Y,Z მიმართულებით და მობრუნებები UX,UY,UZ შესაბამისად X,Y,Z ღერძების გარშემო.

4.1.2 უნივერსალური, სამკვანძიანი, სამკუთხა ელემენტი #42



ელემენტი განკუთვნილია თხელი გარსების ანგარიშისთვის, როგორიცაა ფილა, კედელი. ელემენტის სამივე კვანძს, ადგილობრივი ღერძების მიმართ, გააჩნია 6 თავისუფლების ხარისხი. გადაადგილებები U,V,W შესაბამისად X,Y,Z მიმართულებით და მობრუნებები UX,UY,UZ შესაბამისად X,Y,Z ღერძების გარშემო.

აღსანიშნავია, რომ მობრუნების კუთხე UZ არ შედის ელემენტის დეფორმაციის განმსაზღვრელ კვანძის პარამეტრში და ადგილობრივ კოორდინატთა სისტემაში 0 -ის ტოლია. UZ თავისუფლებსი ხარისხი ჩნდება მაშინ, როცა სხვადასხვა სიბრტყეში მყოფი ელემენტები ერთმანეთს ეხებიან და აუცილებელია კოსნტრუქციის სივრცითი მუშაობის გათვალისწინება.

4.2 დინამიკური მასების განსაზღვრა სტატიკური დატვირთვებიდან

“პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა” ნორმის მიხედვით შენობა-ნაგებობების კონსტრუქციებისა და ფუძეები გაანგარიშება უნდა შესრულდეს დატვირთვათა ძირითადი და განსაკუთრებული თანწყობისათვის, სეისმური დატვირთვების გათვალსიწინებით. განსაკუთრებული თანწყობის დატვირთვებზე შენობა-ნაგებობების გაანგარიშებისას, საანგარიშო დატვირთვები უნდა გამრავლდეს თანწყობის კოეფიციენტებზე, რომელიც მოცემულია ქვემოთ მოყავნილ ცხრილში:

1	მუდმივი დატვირთვები	0.9
2	დროებითი ხანგრძლივი	0.8
3	დროებითი ხანმოკლე	0.5



სურ. 16 - სტატიკური მასების კოეფიციენტები

4.3 ანგარიში სეისმურ ზემოქმედებაზე

ანგარიში სეისმურ ზემოქმედებაზე წარმოებს ქართული სეისმური ნორმის “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09) -ის მიხედვით. სეისმური ტალღების მოქმედების მიმართულების მიხედვით დინამიურ ანგარიშში უნდა მოხდეს შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინება. შეგვყავს სეისმური პარამეტრები ნორმების მიხედვით. ეს მონაცემები სეისმური ზემოქმედების ყველა მიმართულებისთვის ერთნაირია.



სურ. 17 - სეისმური კოეფიციენტების ცხრილი



სურ. 18 - დინამიური დატვირთვების ცხრილი

4.4 3D ანალიტიკური მოდელი

ქვემოთ მოცემულია შენობების სივრცითი, საანგარიშო მოდელი, გადახურვის გეგმები და სამგანზომილებიანი მოდელის სხვა ელემენტები.



სურ. 19 - 3D ანალიტიკური მოდელი



სურ. 20 - ლენტური საძირკველი XY სიბრტყე



სურ. 21 - სახურავის ფილა XY სიბრტყე

შეასრულა	ლ. მალანია	ლ. მალანია	დოკუმენტის დასახელება	განმარტებითი ბარათი	
შეამოწმა	გ. ცინცაბაძე	გ. ცინცაბაძე	ვერსია	1	
გვერდი		20	თარიღი	17 დეკემბერი, 2021	

4.5 რკინაბეტონის სტრუქტურული ელემენტების მოდელირება



სურ. 22 - გადახურვის ფილის სიხისტე

ანალიტიკურ მოდელში რკინაბეტონის სტრუქტურული ელემენტების სიხისიტს, ტიპის და არმირების აღწერა:

სადაც:

H=22 სმ. - გადახურვის ფილის სისქე;

E=3060000 ტ/მ^2 - დრეკადობის (იუნგის) მოდული B30 კლასის ბეტონისთვის;

R_0=2.5 ტ/მ^3 - რკინა-ბეტონის საანგარიშო მოცულობითი წონა;

υ=0.2 - პუასონის კოეფიციენტი რკინა-ბეტონისთვის.



სურ. 23 - გად. ფილის ტიპი



სურ. 24 - გად. ფილის ბეტონი



სურ. 25 - გად. ფილის არმირება

შეასრულა	ლ. მალანია		დოკუმენტის დასახელება	განმარტებითი ბარათი	
შეამოწმა	გ. ცინცაბაძე		ვერსია	1	
გვერდი		21	თარიღი	17 დეკემბერი, 2021	

5. ანალიტიკური მოდელირების შედეგები

5.1 ფილის ჩაღუნვები

“ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები (პნ 03.01-09.) მუხლი 4, პუქნტი 25, ცხრილი 4” და “СНиП 2.01.07-85* - Нагрузки и воздействия, ცხრ. 19” სამშენებლო ნორმების მიხედვით, მეორე ძირითადი შეხამების დროს უდიდესი ვერტიკალური ჩაღუნვა Z მიმართულებით არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ ჩაღუნვას ($f_{\text{ზღვრ}}$), რომელიც კარკასის შევსების დაუზიანებლობის პირობიდან გამომდინარეობს. მთავარ კოჭში და ფილაში დასაშვები ჩაღუნვა შეადგენს 25 მმ.-ს შესაბამისად ჩვენი პროექტისთვის გვექნება შემდეგი სიდიდეები:



სურ. 26 - სახურავის ფილის ჩაღუნვა

5.2 შენობის მოდალური ანალიზი

კონსოლური სქემის მიხედვით, პირველი ორი ფორმა უნდა იყოს წრფივი, ხოლო მესამე შეიძლება იყოს გრეხვითი ფორმა Z ღერძის გარშემო.



სურ. 27 - მოდალური ფორმა #1



სურ. 28 - მოდალური ფორმა #2



სურ. 29 - მოდალური ფორმა #3

5.3 შენობის რხევის პერიოდები

ქვემოთ მოცემულია შენობის რხევის პერიოდები, ფორმების მიხედვით (1, 2, 3), სხვადასხვა სახის დინამიური დატვირთვების ზემოქმედებისას:

L.Case	No.	Eigenvalues	rad/s.	Hz	Periods	Particip. fact.	Mass	Sum of masses
3 - (mod. 41)								
3	1	0.02	49.47	7.88	0.13	0.47	1.46	1.46
3	2	0.02	56.76	9.04	0.11	0.86	4.63	6.09
3	3	0.02	59.66	9.50	0.11	1.96	8.16	14.25
3	506	0.00	1766.82	281.34	0.00	-0.03	0.00	76.81
3	507	0.00	1768.01	281.53	0.00	0.08	0.00	76.82
3	508	0.00	1774.65	282.59	0.00	-0.11	0.01	76.82
4 - (mod. 41)								
4	1	0.02	49.47	7.88	0.13	-0.14	0.14	0.14
4	2	0.02	56.76	9.04	0.11	-1.33	10.93	11.06
4	3	0.02	59.66	9.50	0.11	1.92	7.80	18.86
4	506	0.00	1766.82	281.34	0.00	-0.06	0.00	71.41
4	507	0.00	1768.01	281.53	0.00	0.03	0.00	71.41
4	508	0.00	1774.65	282.59	0.00	0.23	0.02	71.43
5 - (mod. 41)								
5	1	0.02	49.47	7.88	0.13	2.11	22.88	22.88
5	2	0.02	56.76	9.04	0.11	1.44	10.09	32.96
5	3	0.02	59.66	9.50	0.11	-0.32	0.17	33.13
5	506	0.00	1766.82	281.34	0.00	0.00	0.00	95.77
5	507	0.00	1768.01	281.53	0.00	0.00	0.00	95.77
5	508	0.00	1774.65	282.59	0.00	0.00	0.00	95.77
6 - (mod. 41)								
6	1	0.02	49.47	7.88	0.13	0.23	0.35	0.35
6	2	0.02	56.76	9.04	0.11	-0.33	0.67	1.02
6	3	0.02	59.66	9.50	0.11	2.75	15.95	16.97
6	506	0.00	1766.82	281.34	0.00	-0.07	0.00	94.58
6	507	0.00	1768.01	281.53	0.00	0.08	0.00	94.58
6	508	0.00	1774.65	282.59	0.00	0.08	0.00	94.59
7 - (mod. 41)								
7	1	0.02	49.47	7.88	0.13	0.44	1.24	1.24
7	2	0.02	56.76	9.04	0.11	1.55	14.89	16.13
7	3	0.02	59.66	9.50	0.11	0.03	0.00	16.14
7	506	0.00	1766.82	281.34	0.00	0.02	0.00	53.64
7	507	0.00	1768.01	281.53	0.00	0.04	0.00	53.64
7	508	0.00	1774.65	282.59	0.00	-0.24	0.02	53.67

ცხრილი 2 - შენობის რხევის პერიოდები

6. შენობის მზიდი სტრუქტურული ელემენტების კონსტრუირება

“Пособие к СНиП 2.03.01-84 Пособие по проектированию бетонных и железобетонных конструкций”, “ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები (პნ 03.01-09.)” -ის მოთხოვნების და ანალიტიკური მოდელირების შედეგების მიხედვით, უნდა მოხდეს შენობის მზიდი სტრუქტურული ელემენტების კონსტრუირება.

სამშენებლო ნახაზების შედგენის სტადიაზე მოხდა თითოეული ელემენტის დაარმატურება. აღსანიშნავია, რომ კომპიუტერული ანგარიშით მოცემული არმირებები შეიძლება ნორმებით დასაშვებ მინიმუმზე ნაკლები იყოს, ასეთ შემთხვევაში არმირება ხდება სამშენებლო ნორმის მოთხოვნების გათვალისწინებით.

7. შენობის მზიდი სტრუქტურული ელემენტების აღწერა

7.1 საძირკვლის მონოლითური ფილა

შენობების დასაძირკვლება ხდება 40 სმ. სისქის ლენტურ საძირკველზე. საძირკველს დამატებით აქვს 10 სმ. სისქის ბეტონის მომზადების შრე და 20 სმ. ბალასტის შრე. ლენტური საძირკველი ჩაღრმავებულია 60 სმ. -ით.

7.2 შენობის მზიდი კარკასი

შენობის მზიდ, სტრუქტურულ ელემენტებს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ღეროვან ფირფიტოვანი სივრცული სისტემა. შენობის ვერტიკალური სიხისტე იქმნება პილონებით და კედლებით, სისქით 30 სმ. ვერტიკალური მზიდი ელემენტების განივკვეთი ცვალებადია. სახურავის წახნაგოვანი ფილის სისქე 22 სმ. შენობის პერიმეტრზე, ვერტიკალური მზიდი ელემენტების თავზე გადის რიგელები, სისქით 30 სმ. სიმაღლე ცვალებად 50 – 100 სმ. ფარგლებში.

7.3 რკინა-ბეტონის მახასიათებლები

კონსტრუქციებში გამოყენებულია არმატურა კლასით A240C; A500C (ГОСТ 5781-82) და B-7,5 და B-25 კლასის ბეტონი (ГОСТ 25192-82) მარკით 300, წყალშეუღწევადობა W4. აუცილებელია, რომ ბეტონირება მოხდეს სულფატომედეგი ბეტონით. ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების ბეტონის მარკა იხილეთ შესაბამის ნახაზებზე.

შენობის გაანგარიშება შესრულდა "Lira SAPR 2017" პროგრამული კომპლექსის მეშვეობით, სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე. შენობის საანგარიშო მოდელი შედგენილია არქიტექტურული ნახაზების მიხედვით.

7.4 განსაკუთრებული შენიშვნები

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არმატურის წარმომავლობას, რათა მისი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შეესაბამებოდეს პროექტში მითითებულ სტანდარტებს, აგრეთვე ბეტონის კლასს, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში და ზაფხულის ცხელ დღეებში.

სამშენებლო მოედანზე აუცილებელია განხორციელდეს სამშენებლო მასალების სისტემატური კონტროლი. მშენებლობაზე გადაზიდულ მასალებს თან უნდა ახლდეს ქარხნის პასპორტი რომელზეც მითითებული იქნება ტექნიკური მახასიათებლები, მაგ.: მასალის სიმტკიცის ზღვარი, ყინვამედეგობის მაჩვენებელი და სხვა.

ბეტონის სამუშაოების წარმოებისას მშრალი და ცხელი კლიმატის პირობებში 25° C -ზე მეტი ჰაერის ტემპერატურისას და 50% -ზე ნაკლები ფარდობითი ტენიანობისა - გამოყენებულ იქნას ცემენტები, რომელთა სამარკო სიმტკიცე არანაკლებ 20% -ით სჭარბობს ბეტონის საპროექტო მარკას.

ახლადჩაწყობილი ბეტონი დაცული უნდა იქნას მექანიკური დაზიანებისაგან (და / ან ზემო-ქმედებისგან), მზის სხივების პირდაპირი მოხვედრისგან, ყინვისგან, ქარისგან. პროექტში მითითებული სიმტკიცის 75% -ის მიღწევამდე ბეტონის სტრუქტურა ადვილად იმსხვრევა, აქედან გამომდინარე აღნიშნული სიმტკიცის აკრეფვამდე აუცილებელია მკაცრად დაცული იქნას ტემპერატურის და ტენიანობის რეჟიმი.

კონსტრუქციების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა და ანტიკოროზიული ღონისძიებები შესრულდეს ნორმების СНиП 2.01.02-85* და СНиП 2.03.11-85 მოთხოვნების შესაბამისად.

7.5 უსაფრთხოება

მშენებლობის პროცესი წარიმართოს საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის #62 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად და მკაცრად იქნას დაცული უსაფრთხოების წესები.

8. სამშენებლო პროცესში კონსტრუქციების მოწყობის ტექნოლოგია

8.1 არმატურის დამცავი შრე

სამშენებლო პროცესის დროს, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს შენობის მზიდი სტრუქტურული ელემენტების არმატურის მუშა ღეროების დამცავი შრეების დაფიქსირებას. მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს ფიქსატორების არა მხოლოდ ზომას, არამედ ტიპს, მაგალითისთვის დაუშვებელია დამცავი შრეების მოწყობა ხის, ფოლადის, ქვის და ა.შ. ელემენტებით. დამცავი შრის დიქსატორები საიმედოდ უნდა იყოს ჩამაგრებული საყალიბო გარსში, რათა გაუძლოს ბეტონირების დროს წარმოქმნილ ვიბრაციებს და არ შეიცვალოს ადგილმდებარეობა. ქვემოთ მოყვანილია დამცავი შრების მოწყობის რამდენიმე ძირითადი ტიპი, აქვე ავღნიშნავ, რომ სამშენებლო პროცესში არ არის აუცილებელი, რომელიმე ერთი კონკრეტული კომპანიის პროდუქციის შეძენა, თუმცა მნიშვნელოვანია ქვემოთ მოყვანილი პრინციპების დაცვა. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ქვემოთ მოყვანილია სქემატური ნახაზები, სტრუქტურული ელემენტების განივკვეთის ზომები და არმირებები იხილეთ გრაფიკული ნაწილის შესაბამის ნახაზებზე.

8.1.1 გადახურვის ფილის ქვედა ბადის დამცავი შრის ფიქსატორები

გადახურვის ფილის ქვედა ბადისთვის დამცავი შრე არის 30 მმ. შენობის განივი მიმართულებით, საყალიბო მასალის ზედაპირზე, ყოველ 1 მ.-ში დამონტაჟდეს ფიქსატორები.



აუცილებელია, რომ ფიქსატორები დამზადებული იყოს არაკოროზირებადი მასალისგან, როგორიცაა რეზინა, პლასტმასი და ა.შ. დაუშვებელია ფიქსატორებად ლითონის გადანაჭრების გამოყენება, ასეთი ფაქტები ხელს უწყობს კონსტრუქციაში კოროზიის კერების გაჩენას და ამცირებს შენობის ექსპლუატაციის პერიოდს.

8.1.2 გადახურვის ფილის ქვედა ბადის დამცავი შრის ფიქსატორები

რიგელის არმატურისთვის დამცავი შრე არის 40 მმ. ქვედა შრის არმატურისთვის ვიყენებთ იგივე ტიპის ფიქსატორებს, რაც გვქონდნა ფილაში. მნიშვნელოვანია, რომ ფიქსატორები დამონტაჟდეს ყალიბის ვერტიკალურ კედელზეც, რათა მოხდეს რიგელის სისწორის შენარჩუნება ბეტონირებისას წარმოქმნილი ვიბრაციების დროს.



8.1.3 სვეტის დამცავი შრის ფიქსატორები

სვეტის არმატურისთვის დამცავი შრე არის 30-40 მმ. გამომდინარე იქიდან, რომ სვეტის ღეროები გადაბმულია ძირში, ქვედა ნიშნულიდან ამომავალ ნაშვერებზე, ფიქსირება ჭირდება სვეტის არმატუსი ზედა ნაწილებს. ფიქსატორებად გამოყენებულია წრიული ფორმის პლასტმასის, ან რეზინის ნაკეთობები.



შეასრულა	ლ. მალანია	ლ. მალანია	დოკუმენტის დასახელება	განმარტებითი ბარათი	
შეამოწმა		გ. ცინცაბაძე	ვერსია	1	
გვერდი		28	თარიღი	17 დეკემბერი, 2021	

8.2 მზიდი სტრუქტურული ელემენტების ბეტონირება

მზიდი სტრუქტურული ელემენტების ყალიბების მოწყობის ხარისხი, მეტწილად დამოკიდებულია მშენებელ-ინჟინერზე, თუმცა აუცილებელია, რომ პროცესი წარმოებდეს გარკვეული პრინციპების და ტქნოლოგიების გათვალისწინებით. ასევე აღსანიშნავია ბეტონის ჩალაგების დროს მისი ვიბრაციის საკითხი, რაც უდიდეს გავლენას ახდენს ბეტონის ხარისხზე და შესაბამისად მის მზიდუნარიანობაზე.

ბეტონის სამუშაოების წარმოებისას მშრალი და ცხელი კლიმატის პირობებში 25° C -ზე მეტი ჰაერის ტემპერატურისას და 50% -ზე ნაკლები ფარდობითი ტენიანობისა - გამოყენებულ იქნას ცემენტები, რომელთა სამარკო სიმტკიცე არანაკლებ 20% -ით სჭარბობს ბეტონის საპროექტო მარკას.

ახლადჩაწყობილი ბეტონი დაცული უნდა იქნას მექანიკური დაზიანებისაგან (და/ან ზემო-ქმედებისგან), მზის სხივების პირდაპირი მოხვედრისგან, ყინვისგან, ქარისგან. პროექტში მითითებული სიმტკიცის 75% -ის მიღწევამდე ბეტონის სტრუქტურა ადვილად იმსხვრევა, აქედან გამომდინარე აღნიშნული სიმტკიცის აკრეფვამდე აუცილებელია მკაცრად დაცული იქნას ტემპერატურის და ტენიანობის რეჟიმი.

ყალიბებში ბეტონის ჩალაგების დროს აუცილებლად უნდა მოხდეს მისი ვიბრაციული ზემოქმედებით დამუშავება, იდეალურ შემთხვევაში ვიბრატორი უნდა განთავსდეს ვერტიკალურად, თუმცა დასაშვებია მისი დახრილ მდგომარეობაში გამოყენებაც ვირბირების დროს მნიშვნელოვანია, რომ ვიბრაციული ტალღები თანაბრად განაწილდეს არმატურის ღეროებს შორის და ბეტონში ღორღის მასის განაწილება იყოს თანაბარი.

რიგელის არმირებიდან გამომდინარე ზედა შრის ღეროებს შორის საკმარისი ადგილია იმსითვის, რომ მცირე ზომის ვიბრატორყ ჩაეტიოს, დამხარე კოჭებთან კი შესაძლებელია გადახურვის ფილის მხრიდან, გვერდულად, ხამუტებს შორის მოხდეს ვიბრირება.



8.3 ცალუღა არმატურების მოწყობა

სეისმური ზონებისთვის, დიდი განივი ძალების აღძვრის შესაძლებლობის გამო, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ცალუღEების სწორედ მოწყობა, იგულისხმება სვეტების და რიგელების ცალუღები. მუშა ნახაზებში დეტალურად არის ნაჩვენები ცალუღების ბიჯი და დიამეტრიც, თუმცაა მნიშვნელოვანია სურათზე ნაჩვენები პრინციპის დაცვა.



9. გამოყენებული ლიტერატურა

1. სეისმომედეგი მშენებლობა - პნ. 01.01-09
2. სამშენებლო კლიმატოლოგია - პნ. 01.05-08
3. ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები - პნ. 03.01-09
4. შენობა ნაგებობების ფუძეები - პნ. 02.01-08
5. Нагрузки и воздействия - СНиП 2.01.07-85, 2006
6. Пособие к СНиП 2.03.01-84 Пособие по проектированию бетонных и железобетонных конструкций
7. Numerical methods in finite element analysis, K.-J. Bathe and E. L. Wilson, Prentice-Hall Inc., Englewood Cliffs, N.J., 1976
8. Dynamics of Structures - Ray W. Clough, Joseph Penzien, 1975
9. Динамика сооружений - Р. Клаф, Дж. Пензиен, М. Стройиздат, 1979
10. ПРОГРАММНЫЙ КОМПЛЕКС ЛИРА-САПР® 2013 Учебное пособие Городецкий Д.А., Барабаш М.С., Водопьянов Р.Ю., Титок В.П., Артамонова А.Е. Под редакцией академика РААСН Городецкого А.С., 2013
11. Wind end Eerthquake Resistant Buildins. Buneale S. Taranath S.E, 1997
12. Бирбраер А.Н. Расчет конструкций на сейсмостойкость. 1998
13. СН 326-65 - Указания по проектированию железобетонных резервуаров для нефти и нефтепродуктов
14. Рекомендации по расчету резервуаров и газгольдеров на сейсмические воздействия

+(995) 555 577 499
info@teamtwo.ge

თბილისი, ზ. ფალიაშვილის 37

კომერციული ფართი
მაღაზიის დანიშნულებით

ნაგებობის სტრუქტურული ელემენტების პროექტი

2021 წ. თბილისი

ნახაზების უწყისი

#	ფურცლის დასახელება	გვერდი
1	ნახაზების უწყისი და მასალათა კრებსითი	კ-001
3	საძირკვლის დაკვალვის გეგმა	კ-101
4	ლენტური საძირკვლისა მოწყობა, საყალიბო ნახაზი	კ-102
5	არმირებული იატაკის მოწყობა, საყალიბო ნახაზი	კ-103
6	ლენტური საძირკვლის და არმირებული იატაკის მოწყობა კვეთი 1-1, 2-2, 3-3 და 4-4	კ-104
7	ლენტური საძირკვლის და კიბის მოწყობა კვეთი 5-5 და სპეციფიკაცია	კ-105
8	სვეტების მარკირების გეგმა -1.00 ნიშნულიდან სახურავის ნიშნულამდე, სამგანზომილებიანი ხედი	კ-201
9	მონოლითური სვეტი #1	კ-202
10	მონოლითური სვეტი #1 და სპეციფიკაცია	კ-203
11	მონოლითური სვეტი #2 და სპეციფიკაცია	კ-204
12	მონოლითური სვეტი #3	კ-205
13	მონოლითური სვეტი #3 და სპეციფიკაცია	კ-206
14	მონოლითური სვეტი #4 და სპეციფიკაცია	კ-207
15	მონოლითური სვეტი #5	კ-208
16	მონოლითური სვეტი #5 და სპეციფიკაცია	კ-209
17	მონოლითური სვეტი #6 და სპეციფიკაცია	კ-210
18	მონოლითური სვეტი #7 და სპეციფიკაცია	კ-211
19	შენობის განშლა " ა " და " 4 " ღერძზე	კ-212
20	შენობის განშლა " ა''' ", "1" და " ბ " ღერძზე	კ-213
21	შენობის განშლა " ა' " და " 3 " ღერძზე	კ-214
22	არმირებული კედლის კვეთები და სპეციფიკაცია	კ-215
23	სახურავის მოწყობა, საყალიბო ნახაზი	კ-301
24	სახურავის მოწყობა, კვეთების მარკირების გეგმა	კ-302
25	სახურავის ფილი მოწყობა კვეთი 1-1, 2-2 და სპეციფიკაცია	კ-303

მასალათა კრებსითი

#	სტრუქტურული ელემენტის დასახელება	არმატურა (კგ)										ბალასტი მ³	ბეტონი (მ³)		
		ГОСТ 5781-82*		ГОСТ 5781-82*									მარკა (ГОСТ 25192-82)		
		ø 8	ჯამი	ø 10	ø 12	ø14	ø16	ø 18	ø 20	ø 22	ჯამი		100 (B 7,5)	300 (B 25)	ჯამი
1	საძირკვლები	829.6	829.6	182.7		115.5					298	35.0	12.0	62.0	74
2	არმირებული იატაკი	1517.5	1517.5									95.4	31.8	32.0	64
3	არმირებული კედლები	335.5	335.5	2344.2				718.8			3063	0.0	0.0	44.5	45
4	მონოლითური სახურავი	1670.3	1670.3		8234.8				2069.3		10304			103.7	104
5	სვეტები	670.2	670.2					1875.3			1875			8.4	8
ჯამი (კგ)		5023	5023		8235	116		2594	2069		15541	130	44	251	294

ფორმატი	თარიღი	დაკვეთა #
A3	12 / 2021	005 -2101

შენობის ბლოკები

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები

1. სტრუქტურული ელემენტების დაკვალვა მოხდეს არქიტექტურული და ტექნოლოგიური ნახაზების მიხედვით;
2. ქედლების და საძირკვლის პიდროიზოლაცია მოხდეს ტექნიკური მოთხოვნების და მესაბამისი პროექტის მიხედვით;
3. კონსტრუქციები შეტანილი სვეტა შესაძლო სვლილება უნდა შეთანხმდეს პროექტის მთავარ სტრუქტურულ ინჟინერთან.

პროექტის დასახელება და მისამართი

კომერციული ფართი მაღაზიის დანიშნულებით

ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, ცოტნე დადიანის N21 (ს/კ: 01.20.01.022.017)

პროექტის დამკვეთი

შპს "ლაკი დეველოპმენტი"

საპროექტო ორგანიზაცია

teamtwo
თბილისი, საქართველო, 0179
ზ. ფალიაშვილის #37 / +(995) 555 577 499
info@teamtwo.ge
www.teamtwo.ge

საპროექტო ჯგუფი

დირექტორი		ნ. ნადარეიშვილი
ანალიტიკური მოდელირება		გ. ცინცაბაძე
კონსტრუქტორი		გ. ჩიტიკიანი
შეასრულა		გ. მალანია
შეამოწმა		გ. ცინცაბაძე

ფურცლის სათაური

ზოგადი შენიშვნები და მასალათა კრებსითი სპეციფიკაცია

სტადია	ფურცლები	გვერდი
DE	000	SE -001

საძირკვლის დაკვალვის გეგმა
მ. 1:150



ფორმატი	თარიღი	დაკვეთა #
A3	12 / 2021	005 -2101

შენობის ბლოკები

პირობითი აღნიშვნები

- კონსტრუქციის კონტური
- ღერძის ხაზი
- საძირკველი

შენიშვნები

1. სტრუქტურული ელემენტების დაკვალვა მოხდეს არქიტექტურული და ტექნოლოგიური ნახაზების მიხედვით;
2. კედლების და საძირკვლის ჰიდროიზოლაცია მოხდეს ტექნიკური მოთხოვნების და შესაბამისი პროექტის მიხედვით;
3. კონსტრუქციებში შეტანილი ყველა შესაძლო ცვლილება უნდა შეთანხმდეს პროექტის მთავარ სტრუქტურულ ინჟინერთან.

პროექტის დასახელება და მისამართი

კომერციული ფართი მაღაზიის დანიშნულებით

ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, ცოტნე დადიანის N21 (ს/კ: 01.20.01.022.017)

პროექტის დამკვეთი

შპს "ლაქი დეველოპმენტი"

საპროექტო ორგანიზაცია

teamtwo

თბილისი, საქართველო, 0179

ზ. ფალიაშვილის #37 / +(995) 555 577 499

info@teamtwo.ge

www.teamtwo.ge

საპროექტო ჯგუფი

დირექტორი		ნ. ნადარეიშვილი
ანალიტიკური მოდელირება		გ. ცინცაბაძე
კონსტრუქტორი		გ. ჩიტიკიანი
შეასრულა		გ. მალანია
შეამოწმა		გ. ცინცაბაძე

ფურცლის სათაური

საძირკვლის დაკვალვის გეგმა

სტადია	ფურცლები	გვერდი
DE	000	SE -101

ლენტური საძირკვლისა მოწყობა
საყალიბო ნახაზი
მ. 1:150



ფორმატი	თარიღი	დაკვეთა #
A3	12 / 2021	005 -2101

შენობის ბლოკები

პირობითი აღნიშვნები

- კონსტრუქციის კონტური
- ღერძის ხაზი
- სვეტი და არმ.კედელი

შენიშვნები

1. სტრუქტურული ელემენტების დაკვალვა მოხდეს არქიტექტურული და ტექნოლოგიური ნახაზების მიხედვით;
2. კედლების და საძირკვლის ჰიდროიზოლაცია მოხდეს ტექნიკური მოთხოვნების და შესაბამისი პროექტის მიხედვით;
3. კონსტრუქციებში შეტანილი ყველა შესაძლო ცვლილება უნდა შეთანხმდეს პროექტის მთავარ სტრუქტურულ ინჟინერთან.

პროექტის დასახელება და მისამართი

კომერციული ფართი მაღაზიის დანიშნულებით

ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, ცოტნე დადიანის N21 (ს/კ: 01.20.01.022.017)

პროექტის დამკვეთი

შპს "ლაქი დეველოპმენტი"

საპროექტო ორგანიზაცია

teamtwo
თბილისი, საქართველო, 0179
ზ. ფალიაშვილის #37 / +(995) 555 577 499
info@teamtwo.ge
www.teamtwo.ge

საპროექტო ჯგუფი

დირექტორი		ნ. ნადარეიშვილი
ანალიტიკური მოდელირება		გ. ცინცაბაძე
